პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 21 მარტი, 1945 წ. № 57 (7272). ფასი 20 კაპ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა
### ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ ვასილევსკის ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ პოკროვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლებს აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანელთა დაჯგუფების მოსასპობად, დღეს, 20 მარტს, დაიკავეს ქალაქი ბრაუნსბერგი — გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი ფრიშ ჰაფის ყურის სანაპიროზე.

ქალაქ ბრაუნსბერგის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ გუსევის, გენერალ-პოლკოვნიკ გორბატოვის, გენერალ-ლეიტენანტ გლეგოვის, გენერალ-ლეიტენანტ ივაშეჩკინის, გენერალ-ლეიტენანტ ფოკანოვის, გენერალ-მაიორ გარცევის, გენერალ-ლეიტენანტ ურბანოვიჩის, გენერალ-მაიორ ნიკიტინის, გენერალ-ლეიტენანტ კუზნეცოვის, გენერალ-მაიორ ბულატოვის, გენერალ-მაიორ ოპიაკინის, გენერალ-მაიორ კონოვალოვის, გენერალ-მაიორ მიხალიცინის, გენერალ-მაიორ ვერიოვკინის, პოლკოვნიკ პოგრებნიაკის, პოლკოვნიკ პაშკოვის, პოლკოვნიკ გრიგორიანის, პოლკოვნიკ გრებნევის, პოლკოვნიკ გრეკოვის, პოლკოვნიკ ვიაზნიკოვცევის, პოლკოვნიკ აბილოვის, პოლკოვნიკ ტელკოვის, პოლკოვნიკ კრივენცოვის, პოლკოვნიკ რომანენკოს ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ტიმოტიევიჩის, არტილერიის გენერალ-მაიორ ვლადიმიროვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კოროჩკინის, არტილერიის გენერალ-მაიორ განშეს, პოლკოვნიკ დერგაჩის, პოლკოვნიკ კანდიდატოვის, პოლკოვნიკ მერლინის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ნოსოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ სახნოს, პოლკოვნიკ ოპარინის, პოლკოვნიკ გრიშინის, პოლკოვნიკ კოზიკოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ხრიუკინის, ავიაციის გენერალ-მაიორ შევჩენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ ნეჩიპორენკოს, პოლკოვნიკ ხატმინსკის, პოლკოვნიკ ჩუჩევის, პოდპოლკოვნიკ საჟნევის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ჟილინის, პოლკოვნიკ ისუპოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ მამოტკოს, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ მიშინის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ბრაუნსბერგის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 20 მარტს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ბრაუნსბერგი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრაუნსბერგის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 20 მარტი.
№ 303.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა
### ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ მალინინს

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა სერიოზული ბრძოლების შემდეგ დღეს, 20 მარტს, დაიკავეს ქალაქი ალტდამი და ლიკვიდაცია უყვეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებულ პლაცდარმს მდინარე ოდერის მარჯვენა ნაპირზე შტეტინის აღმოსავლეთით.

ქალაქ ალტდამის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ბელოვის, გენერალ-ლეიტენანტ პერხოროვიჩის, გენერალ-ლეიტენანტ პულკო-დმიტრიევის, გენერალ-ლეიტენანტ ლუკიანჩენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ხალიუზინის, გენერალ-მაიორ სიიაზოვის, გენერალ-მაიორ ვერუშიცკის, გენერალ-მაიორ პოზნიაკის, გენერალ-მაიორ ანდრეევის, პოლკოვნიკ მალკოვის, გენერალ-მაიორ ბორიშნის, პოლკოვნიკ ანდონიევის, გენერალ-მაიორ ვლადიმიროვის, პოლკოვნიკ მოშჩალკოვის, პოლკოვნიკ სელიუკოვის, პოლკოვნიკ სერეგინის, გენერალ-მაიორ მაკაროვის, პოლკოვნიკ მასლოვის, პოლკოვნიკ ბორშენინის, პოლკოვნიკ მუზიკინის, პოლკოვნიკ პავლოვსკის, გენერალ-მაიორ ჩერნოვის, პოლკოვნიკ გერვასიევის, პოლკოვნიკ ვიდრიგანის, გენერალ-მაიორ ზაიკინის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ კაზაკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ეგოროვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ბოდინის, არტილერიის გენერალ-მაიორ პლასკოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ იგნატოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ როჟანოვიჩის, პოლკოვნიკ ზერნოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ზრაჟევსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ სნეგუროვის, პოლკოვნიკ ფანტალოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ნესტეროვიჩის, პოლკოვნიკ ზნაჩენკოს, პოლკოვნიკ ეფრემენკოს, პოლკოვნიკ პონამარენკოს, პოლკოვნიკ შიგარევის, პოლკოვნიკ ნებოჟენკოს, პოლკოვნიკ გრეხოვის, პოლკოვნიკ კოპელევის, არტილერიის გენერალ-მაიორ ბოგდაშევსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ ლიარსკის, პოლკოვნიკ კოლოკოლოვის, პოლკოვნიკ კარპაჩევის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ბოგდანოვის, გენერალ-ლეიტენანტ რაძიევსკის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ივანოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კრეტოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ტელიაკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ვედენეევის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კრივოშეინის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კირიჩენკოს, პოლკოვნიკ აბრამოვის, პოლკოვნიკ ოსმანის, პოდპოლკოვნიკ მაკაროვის, პოლკოვნიკ კოპილოვის, პოლკოვნიკ ფედოროვის, პოლკოვნიკ პოტაპოვის, პოლკოვნიკ შამარდინის, პოლკოვნიკ ერშოვის, გენერალ-მაიორ ბაბაიანის, პოდპოლკოვნიკ ვაინრუბის, პოლკოვნიკ კუზნეცოვის, პოდპოლკოვნიკ სეკუნდას, პოლკოვნიკ ბარანიუკის, პოლკოვნიკ შემიაკინის, პოლკოვნიკ ერემეევის, პოლკოვნიკ მიტროშენკოს, მაიორ ბუგაენკოს, პოდპოლკოვნიკ შარგოროდსკის, პოდპოლკოვნიკ კარაშჩუკის, პოდპოლკოვნიკ რუმიანცევის, პოდპოლკოვნიკ ბელოგოროდოვის, პოლკოვნიკ მოხრიაკოვის, პოდპოლკოვნიკ კოროსტის, პოდპოლკოვნიკ ბაკლუშინის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-მაიორ ტატანაშვილის, პოლკოვნიკ დოლიძის, პოდპოლკოვნიკ ნაკონეჩნიკოვის, პოლკოვნიკ ისაევის, პოლკოვნიკ კარიაგინის, პოლკოვნიკ ორლოვის, პოლკოვნიკ რასკაზოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კომაროვის, პოდპოლკოვნიკ კოვალიოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ იოფეს, პოდპოლკოვნიკ ვანიაკინის, პოლკოვნიკ კისელიოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ლიტვინენკოს, პოლკოვნიკ სოლოვიოვის, პოლკოვნიკ სმოლის, პოდპოლკოვნიკ მასლოვის, პოლკოვნიკ ბელენკოს, პოდპოლკოვნიკ მიაგკოვის, მაიორ ხოტკოს, მაიორ კორსუნის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ალტდამის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 20 მარტს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ალტდამი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ალტდამის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 20 მარტი.
№ 304.

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

19 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა, საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ 1925 წლის 17 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრების მოახლოებასთან დაკავშირებით, თურქეთის ელჩს ბ-ნ სარპერს საბჭოთა მთავრობის სახელით გაუკეთა განცხადება თურქეთის რესპუბლიკის მთავრობისათვის გადასაცემად.

ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა, თუმცა სცნობს საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1925 წლის 17 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების ღირებულებას საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობის დაცვის საქმეში, მაგრამ მაინც საჭიროდ სთვლის დაადასტუროს, რომ იმ ღრმა ცვლილებათა გამო, რაც განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში მოხდა, ეს ხელშეკრულება აღარ შეესაბამება ახალ ვითარებას და სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს.

აღნიშნულის გამო, საბჭოთა მთავრობამ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას განუცხადა თავისი სურვილი მოახდინოს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისა და ყველა მისი დანართის დენონსაცია 1935 წლის 7 ნოემბრის ოქმის დებულებათა შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ მისი დენონსაციის წესს.

თურქეთის ელჩმა ბ-ნმა სარპერმა უპასუხა, რომ ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას იგი დაუყოვნებლივ გადასცემს თურქეთის მთავრობას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურო.

## ფინეთის სასამართლოები მფარველობას უწევენ საბჭოთა სამხედრო ტყვეების მკვლელობასა და აბუჩად აგდებაში დამნაშავე პირებს

ჰელსინკი, 18 მარტი. (სატდესი). დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების მე-13 მუხლის თანახმად, ფინეთმა იკისრა „ითანამშრომლოს მოკავშირე სახელმწიფოებთან სამხედრო დანაშაულობაში ბრალდებული პირების დაპატიმრებისა და გასამართლების საქმეში". ფინეთის მთავრობამ შექმნა კომიტეტი სამხედრო დამნაშავეთა საქმეების გამოსაკვლევად, და ფინელი ხელისუფალნი შეუდგნენ გამოძიებას. მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის წარდგინებასთან დაკავშირებით, მოხდა დაპატიმრებანი. ამჟამად ფინეთის მთავარი შტაბის საველე სასამართლოებმა უკვე გამოიტანეს მთელი რიგი განაჩენები. მაგალითად, ფინეთის მთავარი შტაბის საველე სასამართლომ სამუდამო კატორღა მიუსაჯა ვეინე გერმან ფუკონენს ოთხი საბჭოთა სამხედრო ტყვის მკვლელობისათვის, იოუკო ვილხე ნეორტიმოს — მხეცობისა და საბჭოთა სამხედრო ტყვეების მკვლელობისათვის, ილმარ ჰარიუს — ოთხი სამხედრო ტყვის მკვლელობისათვის, მატი იონას ანტილას — სამი საბჭოთა სამხედრო ტყვის მკვლელობისათვის. ყველა ამ პირს სამუდამოდ ჩამოერთვა აგრეთვე სამოქალაქო უფლებანი. აღნიშნული დანაშაულობისათვის 12 წლისა და 6 თვის კატორღა მიესაჯა ვინმე რუდოლფ ჰეინონენს, 12 წლის საკატორღო სამუშაო — ბრალდებულ ბაკმანს, 10 წლის საკატორღო სამუშაო — კოსტი ტუსელი როზენბერგს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სამხედრო ტყვეების ბანაკებში ჩადენილ დანაშაულობათა გამომკვლევას ფინელი ხელისუფალნი ეწევიან ფორმალურად, კანონის მუხლებს აძლევენ შეზღუდულ განმარტებას, ხოლო სამხედრო დამნაშავეთა საქმეების განმხილველ სამხედრო-საველე სასამართლოებს დაუსაბუთებლად ლმობიერი განაჩენები გამოაქვთ. მთელი რიგი საქმეების გამოკვლევა დღემდე დამთავრებული არ არის. მაგალითად, გამოკვლეული არ არის საქმე დაბა იუსტიმოს მახლობლად 10 საბჭოთა სამხედრო ტყვის დახვრეტის შესახებ, № 5 ბანაკში სამხედრო ტყვეთა მასობრივი დახვრეტის შესახებ და სხვ.

ნორმალურად არ შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს პრაქტიკა საველე სასამართლოებისა, რომლებიც სამხედრო დამნაშავეებს მეტისმეტად ლმობიერად ეპყრობიან. სამხედრო ტყვე ოფიცრის ბერლეევის ცემისა და მკვლელობის საქმის გამო პასუხისგებაში მიცემული ყველა პირი გამართლებულია იმ „საფუძველზე", რომ ბერლეევის გამლახველმა ჯარისკაცმა ვერტანენმა თავი მოიკლა. ჯარისკაცს სიმანაინენმა მოკლა სამხედრო ტყვეები შატროვკო და რაჩკოვსკი. სამხედრო-საველე სასამართლომ უარჰყო სიმანაინენისათვის წაყენებული ბრალდება, ვინაიდან გამოძიების შედეგის მიხედვით „არ არის საკმაო სარწმუნო ცნობა იმის შესახებ, რომ სიმანაინენმა ძალადობა იხმარა უფრო მეტად, ვიდრე ამას გარემოება მოითხოვდა". ჯარისკაცმა სედერლუნდმა, რომელიც საგუშაგოზე იდგა, ბანაკის ზონის შიგნით მყოფ სამხედრო ტყვეებს ესროლა, დასჭრა სამხედრო ტყვეები გონჩაროვი, შაპოშნიკოვი, სტეფანცევი და რაკა (რაკამ თავში მიიღო მძიმე ჭრილობა). სამხედრო-საველე სასამართლომ სედერლუნდს „სამხედრო ტყვეებისადმი ცუდი მოპყრობისათვის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში და სამხედრო ტყვისათვის მძიმე ჭრილობის მიყენებისათვის" მიუსაჯა... 1 წლისა და 6 თვის საკატორღო სამუშაო. ჯარისკაცმა კამულამ სამხედრო ტყვე მოჰკლა ვითომ სამხედრო ტყვეთა ბანაკების უფროს ლინმსალოს ბრძანებით, მაგრამ სამხედრო-საველე სასამართლომ კამულა სასჯელისაგან გაათავისუფლა იმ საფუძველზე, რომ „მას, როგორც ჩანს, არ შეეძლო გაეგო, რომ როცა შესრულდა ბრძანება დახვრეტის შესახებ, ამით კანონი „დაირღვა". ლინმსალომაც დააღწია თავი სასჯელს ამ მკვლელობისათვის, თუმცა სასამართლომ გამოარკვია, რომ ლინმსალო თვითონაც იყენებდა და თავის ხელქვეითებსაც აძლევდა ნებას სამხედრო ტყვეების მიმართ გამოეყენებინათ სრულიად შეუწყნარებელი სასჯელი. საქმე იმით გათავდა, რომ ლინმსალოს მიესაჯა 7 თვის პატიმრობა „სამსახურებრივ მოვალეობათა მუდმივი წინასწარგანზრახული დარღვევისათვის".

მთელ რიგ შემთხვევებში იმ პირებს, რომლებიც სამხედრო ტყვეებს სცემდნენ, „სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის" მისჯილი აქვთ ფულადი ჯარიმა ერთი ან ორი დღის ხელფასის რაოდენობით. არის შემთხვევები, როცა სასამართლო ცდილობს იპოვოს დაუსაბუთებელი შემამსუბუქებელი გარემოებანი. ჯარისკაც ჰეიკონენის საქმის გამო, რომელიც სამხედრო ტყვეებს სცემდა და ერთი სამხედრო ტყვე მოჰკლა, სასამართლო აცხადებს, რომ „ეს ძალადობა იმის შედეგი იყო, რომ მოკლულ სამხედრო ტყვეს ჯიუტი ხასიათი ჰქონდა, ზანტი იყო ბანაკში სამუშაო დავალებათა შესრულების დროს და რომ ბანაკში ვიღაც სამხედრო ტყვემ მოიტაცა დარაჯების ულუფა ზეთი".

ზოგიერთ დამნაშავეს წაყენებული აქვს ბრალდება არა მთელი მათი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, არამედ მხოლოდ ცალკეული დანაშაულობისათვის, ამასთან დანაშაულობა ისეა ჩამოყალიბებული, რომ ფაქტიურად მისგან არსებითი არაფერი რჩება. 15 შემთხვევაში 29 შემთხვევიდან თვით ფინელი სახელმწიფო ბრალმდებელნი იძულებული იყვნენ გაესაჩივრებინათ სასამართლოების განაჩენები. სამხედრო დანაშაულობათა კომიტეტი არავითარ ღონისძიებას კანონის ამ დარღვევათა წინააღმდეგ არ იღებს. მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის სათანადო წარდგინების შემდეგ ფინეთის მთავრობამ ეს კომიტეტი გააუქმა და მისი ფუნქციები იუსტიციის სამინისტროს გადასცა.

უნდა ითქვას, რომ შედარებით დიდძალ დაპატიმრებასთან ერთად იკვლევენ მხოლოდ მცირე დანაშაულობათ, რაც ჩადენილია სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის პირთა მიერ, რომლებიც სხვების ბრძანებას ასრულებდნენ. ასეთი პრაქტიკა ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან საბჭოთა სამხედრო ტყვეების ბანაკებში მხეცური ცემისა და მკვლელობის სისტემის მთავარი დამნაშავენი.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
### 20 მარტის ოპერატიული ცნობა

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლებს აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანელთა დაჯგუფების მოსასპობად, 20 მარტს დაიკავეს ქალაქი ბრაუნსბერგი — გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი ფრიშ ჰაფის ყურის სანაპიროზე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ფედერაუ, ვესლინეკი, კორდომენი, რაუშნიკი, ტომსდორფი, ვერმტენი, ჰამერსდორფი, ნოი-პასარგე. 19 და 20 მარტის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ამ რაიონში ტყვედ წამოიყვანეს 4.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 300-ზე მეტი ქვემეხი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სერიოზული ბრძოლების შემდეგ, 20 მარტს დაიკავეს ქალაქი ალტდამი და ლიკვიდაცია უყვეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებულ პლაცდარმს მდინარე ოდერის მარჯვენა ნაპირზე შტეტინის აღმოსავლეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ.

19 მარტს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 115 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 116 თვითმფრინავი.

* * *

### ჩვენი ავიაცია თავს დაესხა დანციგს, კენიგსბერგსა და პილაუს

19 მარტს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს გერმანელთა სამხედრო ობიექტებს დანციგში, კენიგსბერგსა და პილაუში.

დაბომბვის შედეგად დანციგში რკინიგზის კვანძის ტერიტორიაზე ბევრი ხანძარი გაჩნდა, რასაც თან ახლდა აფეთქებანი. დანციგის ნავსადგურში ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია მოწინააღმდეგის საზღვაო ტრანსპორტი, რომელიც ნავმისაბმელთან იყო.

კენიგსბერგსა და პილაუში ხანძრების დროს აღნიშნულია რამდენიმე ძლიერი აფეთქება.

* * *

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით ბრძოლებს კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით გარშემორტყმული მოწინააღმდეგის აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფების მოსასპობად. საბჭოთა ნაწილები, რომლებიც მდინარე პასარგეს გასწვრივ ჩრდილოეთით უტევენ, მიადგნენ ქალაქ ბრაუნსბერგის სამხრეთ გარეუბანს და გააჩაღეს ბრძოლა რკინიგზის სადგურისათვის. დასავლეთიდან შემტევმა ნაწილებმა ღამით გადალახეს ძნელი გასავლელი ადგილი და განდევნეს გერმანელები გამაგრებულ პუნქტ გუნტენბერგიდან. ჩვენმა ჯარებმა წარმატება განავითარეს, ქალაქში შეიჭრნენ და დილით გაწმინდეს მოწინააღმდეგისაგან ამ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მდინარე პასარგის გასწვრივ. შემდეგ საბჭოთა ნაწილებმა რამდენიმე ადგილას გადალახეს მდინარე, გასტეხეს მტრის გარნიზონის გააფთრებული წინააღმდეგობა და საესებით დაიკავეს ქალაქი ბრაუნსბერგი — გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ფრიშ ჰაფის ყურის სანაპიროზე. ბრაუნსბერგის დაკარგვით მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ამჟამად გერმანელთა ხელში ამ რაიონში რჩება გზების ერთადერთი კვანძი—ქალაქი ჰაილიგენბაილი. გერმანიის სარდლობა ცდილობს შეინარჩუნოს ეს ქალაქი და კონტრიერიშებზე გადმოჰყავს ქვეითი ჯარების დიდი ძალები, გააფთრებით იცავს თითოეულ პოზიციას. ჩვენი ჯარები აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან კვლავ სულ უფრო და უფრო ავიწროებენ რკალს მოწინააღმდეგის გარშემო. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 5.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ცალკეულ უბნებზე გერმანელი ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად გვნებდებიან ტყვედ. მაგალითად, ჰაილიგენბაილის სამხრეთით მდებარე რაიონში დღეს ტყვედ წამოყვანილია მტრის 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 60 ტანკი, 1.000-ზე მეტი ავტომანქანა, 3 ორთქლმავალი, 259 რკინიგზის ვაგონი ტვირთიანად, ბევრი საჭურველი და საწყობი სამხედრო მასალიანად.

* * *

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სერიოზული ბრძოლების შემდეგ, დაიკავეს ქალაქი ალტდამი—გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი შტეტინის მისადგომებზე. გუშინ საბჭოთა ჯარები, რომლებიც უტევენ მდინარე ოდერის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ ჩრდილოეთის მიმართულებით, მიადგნენ დასახლებულ პუნქტ პოდეიუხს. ჰიტლერელები გააფთრებით იცავდნენ ამ პუნქტს. მოწინააღმდეგის ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა ათი გააფთრებული კონტრიერიში მოიტანეს ზედიზედ. ძლიერი დარტყმა ჩვენმა არტილერიამ, რომელიც მიჰყვებოდა ქვეითი ჯარის მოიერიშე ქვეგანაყოფებს, ამ დარტყმებმა გასტეხა მტრის წინააღმდეგობა. ერთმა ჩვენმა ნაწილმა ბრძოლები გააჩაღა რკინიგზის სადგურ ფინკენვალდესათვის. ამასთან გერმანელთა ალტდამის გარნიზონი მოსწყვიტა მდინარე ოდერზე სამხრეთ-დასავლეთ გადასასვლელს. ამასობაში ჩვენი სხვა ნაწილები ალტდამში შეიჭრნენ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. მთელ ღამეს გრძელდება გააფთრებული ბრძოლები. გერმანელები რაკეტებით ანათებდნენ ქალაქის ქუჩებს და ძლიერ საარტილერიო სროლას აწარმოებდნენ. საბჭოთა ქვეგანაყოფები ზედიზედ სწმენდნენ უბნებს მტრისაგან. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს რკინიგზის სადგური და მიიმწყვდიეს გერმანელები მდინარე ოდერზე ალტდამის დასავლეთით მათს განკარგულებაში დარჩენილ ერთადერთ გადასასვლელთან. ამ გადასასვლელს იცავდა ჯავშანმატარებელი. ჩვენმა არტილერიამ მარჯვე ზალპებით დაამსხვრია მტრის ჯავშანმატარებელი. დღეს დილაადრიან მოიერიშე ჯგუფებმა ჰიტლერელებისაგან გასწმინდეს აეროდრომი და გადასჭრეს ალტდამ-შტეტინის გზატკეცილი. საბჭოთა ნაწილებმა გააძლიერეს დარტყმები მტრის წინააღმდეგ, რომელიც ქალაქს იცავდა. მალე მტრის ორგანიზებული წინააღმდეგობა ჩაახშეს ჩვენმა ჯარებმა და დაიკავეს ქალაქი ალტდამი. ლიკვიდირებულია გერმანელთა ძლიერ გამაგრებული პლაცდარმი მდინარე ოდერის მარჯვენა ნაპირზე შტეტინის აღმოსავლეთით. ალტდამისათვის ბრძოლებში გერმანელებს მძიმე ზარალი მოუვიდათ. ქალაქის მისადგომებზე და ქუჩებში მტრის ათასობით გვამი დარჩა. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა, მათ შორის ბევრი ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორი, მძიმე ქვემეხები და სხვა საბრძოლო ტექნიკა.

* * *

ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დღეს დაბომბეს გერმანელთა სამხედრო ობიექტები ქალაქ ბრესლაუში. დაბომბვის შედეგად ხანძრები გაჩნდა და 6 ძლიერი აფეთქება მოხდა.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაცია კვლავ უშენდა ტორპედოს და ბომბავდა გერმანელთა ხომალდებსა და ტრანსპორტებს ბალტიის ზღვაში. საზღვაო მფრინავებმა ჩასძირეს მოწინააღმდეგის 4 ტრანსპორტი 26.000 ტონა საერთო წყალწყვისა, ნაღმოსანი, 2 საგუშაგო ხომალდი და საგუშაგო კატერი. დაზიანებულია რამდენიმე სხვა გემი. ბომბი პირდაპირ მოხვდა გერმანელთა მსუბუქ კრეისერს.

## „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" ფინეთის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 17 მარტი. (სატდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" ათავსებს თავისი სტოკჰოლმელი კორესპონდენტის სტატიას ფინეთის მდგომარეობის შესახებ. კორესპონდენტი სწერს, რომ ფინეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის ჩასვლის შემდეგ ფინეთის ადმინისტრაციის უმაღლესი წრეები გაწმენდილ იქნა პროგერმანული ელემენტებისაგან, მაგრამ „პირველ სართულსა და სარდაფში ჯერ კიდევ ბინადრობენ წინანდელი დემონი—ის ფინელები, რომლებმაც ფინეთის ბედი ჰიტლერს დაუკავშირეს". რიუტისა და ტანერის მომხრეებს ჯერ კიდევ უკავიათ პასუხსაგები თანამდებობანი ადმინისტრაციაში, ხოლო ფინეთის არმიის სარდლობაში კვლავ მოიპოვებიან პროგერმანული ელემენტები, მათ შორის გენერალი ესტერმანი, რომელიც გერმანიასთან კავშირის ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

„მეთვალყურენი შვეციაში,—სწერს კორესპონდენტი,—რომლებიც ერთგვარი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს ფინეთში რუსების მოქმედებას, აღიარებენ, რომ მოულოდნელი არ იქნება თუ რუსები ამჟამად მოითხოვენ ფინეთის ზოგიერთ თანამდებობის პირთა გადაყენებას და მიმართავენ უფრო მკაცრ ღონისძიებებს, რაც გამართლებული იქნება ფინეთის ორი წაგებული ომის შემდეგ".

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 20 მარტი. (სატდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანელები ძლიერ წინააღმდეგობას იწევდნენ მხოლოდ ორ სექტორში—ბინგენში და ბად-კროიც-ნახის აღმოსავლეთით (რაინ-მოზელის ტიმრის ჩრდილოეთ ფლანგზე), აგრეთვე ხოფწინა სიმაგრის რაიონში საარლაუტერნთან. ამ უბანზე მოკავშირეებმა ზიგფრიდის ხაზის თავდაცვითს ზოლებს მიაღწიეს 10-ზე მეტ პუნქტში, რომლებიც საარბრიუკენსა და რაინს შუა მდებარეობენ. მოკავშირეთა ზოგიერთმა ნაწილმა გაიარა ხანგრძლივ სიმაგრეთა ზოლი.

საშუალო და მსუბუქმა ბომბდამშენებმა და გამანადგურებელმა ბომბდამშენებმა 19 მარტს მოსპეს მტრის ოთხი ათასამდე ავტომანქანა, რკინიგზის ვაგონი და ორთქლმავალი. რკინიგზის ხაზები დანგრეულია დაახლოებით 280 ადგილას.

19 მარტს მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს 25 დასახლებული პუნქტი. 18 მარტს წამოყვანილია 5.040 ტყვე.

## მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმები გერმანიაზე

ლონდონი, 20 მარტი. (სატდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის 1.200-ზე მეტი ბომბდამშენი 600 ავიაგამანადგურებლის საფარქვეშ 19 მარტს თავს დაესხა მოწინააღმდეგის ობიექტებს გერმანიაში. ინგლისელთა „ლანკასტერის" მარკის ბომბდამშენებმა ახალი ტიპის 10-ტონიანი ბომბები დააყარეს რკინიგზის ვიადუკებს არნსბერგსა და ბილეფელდში.

19 მარტს ღამით ინგლისელთა „მოსკიტოს" მარკის ბომბდამშენებმა 28-ე თავდასხმა მოახდინეს ბერლინზე.

## ინგლისელი მიმომხილველი საბერძნეთის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 19 მარტი. (სატდესი). გაზეთ „ობსერვერის" დიპლომატიური მიმომხილველი, აღნიშნავს რა რომ საბერძნეთში ფრიად სერიოზული ეკონომიური მდგომარეობა შექმნა, სწერს: „პლასტირასს არა აქვს გამოცდილება ეკონომიურ პრობლემათა გადაჭრაში. ეს გამოცდილება არა აქვთ აგრეთვე მისი ტიპისა და აღზრდის ყველა ადამიანს, რომლებიც მან გარშემო შემოიკრიბა".

მიმომხილველი ეხება საბერძნეთის პოლიტიკურ სიტუაციას და აცხადებს, რომ ეს სიტუაცია სავსებით დამაკმაყოფილებელი როდია. 12 მარტს,—სწერს გაზეთი,—ინგლისის მინისტრ-რეზიდენტს ახლო აღმოსავლეთში ჰაროლდ მაკმილანს პეტიციით მიმართა ეამის სამმა წარმომადგენელმა, რომლებმაც სთხოვეს მას მოახდინოს ამ უკანასკნელი სამი კვირის ამბების მიუდგომელი კვლევა-ძიება. მიმომხილველი აცხადებს: არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მათ მართლა მოეპოვებათ მიზეზი პროტესტისათვის.

## დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლა პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის

პოლონეთის რესპუბლიკის სახელო სსრ კავშირში შემდეგ ოფიციალურ ცნობას აქვეყნებს:

„ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ პოლონეთის დროებით მთავრობასთან ვარშავაში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის პოსტზე დანიშნა ბ-ნი იოსიფ გეირეტი, ხოლო პოლონეთის დროებითმა მთავრობამ ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე დანიშნა ბ-ნი სტეფან ვერბლოვსკი". (სატდესი).

## ქალბატონ ჩერჩილის მომავალი ვიზიტი სსრ კავშირში

ლონდონი, 20 მარტი. (სატდესი). პრემიერ-მინისტრის მეუღლე ქალბატონი ჩერჩილი, „რუსეთის დახმარების ფონდის" თავმჯდომარე, უახლოეს ხანში ესტუმრება საბჭოთა კავშირს საბჭოთა მთავრობისა და წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების მიწვევით.

## ელიოტის სტატია სსრ კავშირში მისი მგზავრობის შესახებ

ლონდონი, 17 მარტი. (სატდესი). ინგლისის პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა ელიოტმა, რომელმაც ამას წინათ ინახულა სსრ კავშირი, 15 მარტს გაზეთ „ივნინგ სტანდარდში" მოათავსა წერილი, სადაც აღწერს საბჭოთა შუა აზიის მრეწველობის სწრაფ განვითარებას და ხაზგასმით აღნიშნავს, კერძოდ, მუშათა უდიდეს ენტუზიაზმს.

ელიოტი აღწერს მუშაობას სტალინგრადის აღსადგენად და აცხადებს: „სტალინგრადი მის წინაშე მდგარ ამოცანებს ისეთივე აღფრთოვანებითა და დისციპლინით აწარმოებს, როგორსაც ინგლისში ზღვა და ზღვის მიერ წამოყენებული მოთხოვნები იწვევენ. ჩვენი გემები ზღვაში მხოლოდ იმიტომ როდი გადიან, რომ გაანადგურონ ჰიტლერი. ისინი ზღვაში გადიან აგრეთვე იმისათვის, რომ დაიპყრონ ზღვა. ბაქოში ნავთის ერთმა მუშაკმა მითხრა: „ცოცხალი ადამიანისათვის შეუძლებელი არაფერია". მე ვნახე იქ გადაჭარბებულება გატაცება და დაუცხრომლობა მუშაობაში, რაც ზოგჯერ დაეუფლება ადამიანებს და უძლეველს ხდის მათ. მე მგონია, რომ იმავე გრძნობებით იყვნენ გამსჭვალული ჩვენი ადამიანები, როდესაც მათ გემთა ქარავნები მიჰყავდათ მურმანსკს და როდესაც იარაღი მიჰქონდათ მალტაზე. ასეთია გრძნობები, რომლებითაც გამსჭვალულია ბევრ ადგილას საბჭოთა კავშირის ხალხი, რომლის ნაწილიც ნახვაც ჩვენ მოვახერხეთ".

# გაზაფხული კაჭრეთში

## ახალი რაიონის პირველი ნაბიჯები

(კაჭრეთი, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დადგა ომიანობის დროის მეოთხე გაზაფხული. საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღდა მინდვრის სამუშაოები. წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებებით აღფრთოვანებული კაჭრეთელი კოლმეურნეები მკვიდრ საფუძველს უყრიან 1945 წლის უხვ მოსავალს.

კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე სერიოზული ამოცანები დგას. კაჭრეთი, რომელიც ამასწინათ გამოეყო გურჯაანის რაიონს, ძირითადად მარცვლეული კულტურების მხარეა. წლევანდელმა გაზაფხულმა უნდა შეჰქმნას პირობები საქართველოს მოწინავე რაიონებს შორის კაჭრეთის ჩასაყენებლად. ეს გაზაფხული გადასწყვეტს კაჭრეთელთა წარმატების ბედს.

ამ შეგნებით შეუდგა მუშაობას რაიონის 37 კოლმეურნეობა. მათ წელს უნდა მოხნან და დასთესონ 7.150 ჰექტარზე მეტი. აქედან სიმინდი—3.100 ჰექტარი, გაზაფხულის ხორბალი—190, შვრია—50, მზესუმზირა—2.660, ფეტვი—150, კარტოფილი—90, ბრინჯი—110, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები — 200, ერთწლიანი ბალახი—160 ჰექტარი.

ამ კულტურებს გარდა, რაიონის კოლმეურნეობებს აქვთ 318 ჰექტარი ვენახი, რომელიც წელს გაცილებით უკეთ არის დამუშავებული, ვიდრე შარშან იყო. გადახვნა-გადაბარვა მთლიანად მთავრდება. მუშაობა სწარმოებს პიგოების დამზადებისა და გასხვლისათვის. უკვე დაიწყო ვენახების გასხვლა. შექმნილია სპეციალური ბრიგადები. ყოველი 5 ჰექტარი ვენახის დასამუშავებლად გამოყოფილია თითო ცხენი. გათვალისწინებულია წელს გაშენდეს 50 ჰექტარი ვენახი, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე—10.000 ძირი ხეხილი, კოლმეურნეობებში—20 ჰექტარი ბაღი. რაიონმა იკისრა ყურძნის საშუალო მოსავლიანობა წელს აიყვანოს 50 ცენტნერამდე, ხოლო ცალკეულ კოლმეურნეობებში—60 ცენტნერამდე.

მნიშვნელოვანი ადგილი რაიონში უჭირავს მეცხოველეობას. კოლმეურნეობები ადიდებენ საქონლის სულადობას, მის პროდუქტიულობას, აძლიერებენ დახმარებას ჩვენი ქვეყნისა და გმირი წითელი არმიისადმი. 1945 წლის იანვარ-მარტში შარშან კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 1.681 კილოგრამი ხორცი, 8.383 ლიტრი რძე, 26.536 ცალი კვერცხი. წელსაც წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულება. ხორცის ჩაბარების წლიური გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებულია 41 პროცენტით, კოლმეურნეთა მიერ—71 პროცენტით. წარმატებით მიმდინარეობს სხვა სახის დამზადებათა გეგმების შესრულება. კაჭრეთელებმა იკისრეს მარტში შეასრულონ ხორცის ჩაბარების წლიური გეგმა.

კოლმეურნეები გულმოდგინედ ეცნობიან პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს სოფლის მეურნეობის განვითარების 1945 წლის გეგმის შესახებ. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოვალენი არიან „უზრუნველჰყონ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის დროული მომზადება საგაზაფხულო კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესასრულებლად, აამაღლონ მინდვრის სამუშაოთა ხარისხი, გააუმჯობესონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანის აგროტექნიკა და, უწინარეს ყოვლისა, დროულად ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა კარგად მომზადებულ მიწებზე, დათესონ კარგი ხარისხის თესლი და უზრუნველჰყონ ნათესთა სათანადო მოვლა".

როგორ მუშაობენ კაჭრეთის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, მტს-ი პარტიისა და მთავრობის ამ მითითებათა განსახორციელებლად?

### ტრაქტორების რემონტი, მექანიზატორთა კადრები

ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის მაღალხარისხოვანი რემონტი ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა წარმატების მისაპოვებლად. კაჭრეთის მტს-ის კოლექტივიც (დირექტორი შ. ფხალაძე) დროულად შეუდგა ამ მხრივ მუშაობას და ტრაქტორების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი 1 მარტისათვის მთლიანად დაამთავრა. ტრაქტორების დიდი ნაწილი გავიდა მინდვრად და შეუდგა საგაზაფხულო ხვნას. ტრაქტორების შეკეთების ხარისხი შეამოწმა სახელმწიფო კომისიამ და მიიღო.

დამთავრებულია მისაბმელი ინვენტარის რემონტი. დაკომპლექტებულია 12 სატრაქტორო ბრიგადა. საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმა 4.180 ჰექტარის რაოდენობით მთლიანად დაყვანილია ყველა სატრაქტორო ბრიგადამდე. მუშაობის ყოველდღიური, ხუთდღიური და სეზონური გრაფიკი შედგენილია ტრაქტორების მარკის მიხედვით იმ ანგარიშით, რომ „სტზ" მარკის ერთმა ტრაქტორმა დღეში მოხნას 3 ჰექტარი, „სტზ-ნატმა"—5, „ჩტზ"—7, ხოლო „უნივერსალმა" დღეში დაფარცხოს და დათესოს 8 ჰექტარი. ამ გრაფიკს კარგად ასრულებს კაჭრეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე მეხუთე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი გ. ბერიშვილი). ტრაქტორისტი გ. ფრიდიაშვილი დღიურად ხნავს 3 ჰექტარს. ა. ათაბეგაშვილმა ერთ დღეში 3-ის ნაცვლად მოხნა 3,2 ჰექტარი. წარმატებით მუშაობს ტრაქტორისტი ი. ბარბაქაძეც.

მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად გარკვეული მუშაობა ჩატარდა. მაგრამ მტს-მა ყველა სახის მიხედვით ვერ უზრუნველჰყო მექანიზატორთა კადრების მომზადების გეგმის შესრულება. სამექანიკო სკოლაში გაგზავნა 1 კაცი, ნაცვლად 2-სა. უნდა გადამზადებულიყო 4 კომბაინერი, მაგრამ ეს დავალებაც არ არის შესრულებული. საჭიროა მტს-მა მეტი ყურადღება მიაქციოს ტრაქტორისტების გადამზადებას და მათი ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებას.

### საკოლმეურნეო სამჭედლოები

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მომზადება გაზაფხულის სამუშაოებისათვის ბევრად არის დამოკიდებული საკოლმეურნეო სამჭედლოების მუშაობაზე. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სამჭედლოები კარგად არის მოწყობილი და ინვენტარის რემონტი გაცხოველებით მიმდინარეობს.

მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენას" სამჭედლოს. აქ მუშაობს ორი კვალიფიციური მჭედელი. მათ აღსაზრდელად ორი მოწაფე ჰყავთ. სამჭედლოს მუშაობას დიდ ყურადღებას უთმობს კოლმეურნეობის გამგეობა. უკვე დამთავრებულია 32 გუთნისა და 30 ურმის შეკეთება. აკეთებენ ახალ ურმებსაც.

სამჭედლო მუშაობს როგორც კოლმეურნეობის, ისე კოლმეურნეთა ინვენტარის შეკეთებაზე და დახმარებას უწევს მეზობელ კოლმეურნეობასაც.

კარგად მუშაობს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სამჭედლოც. დროზე იქნა შეკეთებული 21 გუთანი და 14 ფარცხი. ადგილობრივად აკეთებენ გუთნების ჯაჭვებს და სხვა წვრილ ინვენტარს. სამჭედლოში 3 კაცი მუშაობს. სპეციალობას ეუფლება 2 მოწაფე.

უკრაინის კ. პ. (ბ) სინელნიკოვის რაიკომის მდივანი ამხ. პ. ბონდარენკო და ბრიგადირ-ტრაქტორისტი ამხ. ნ. შარდუბა ესაუბრებიან კაჭრეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ი. ლაზაშვილს საგაზაფხულო თესვის შესახებ.
ფოტო რ. აკოფოვისა

ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სამჭედლოში არემონტებენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, მაგრამ ძალიან ნელი ტემპით. აქ არა ჰყავთ მოწაფეები და დღემდე არც უზრუნვიათ კადრის აღსაზრდელად.

კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში დროულად არ იზრუნეს კადრების მოსამზადებლად, ჰყავთ მხოლოდ ერთი მჭედელი, რომელიც ვერ ასწრებს ინვენტარის შეკეთებას. მინდვრად ჰყრია შეუკეთებელი ინვენტარი და ურმები. მსგავს მაგალითებს სხვა კოლმეურნეობებშიც ვხვდებით.

საჭიროა კოლმეურნეობებმა საქმე ისე მოაწყონ, რომ ჰქონდეთ საკუთარი კეთილმოწყობილი სამჭედლო. მათ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ახალი კადრების აღზრდას, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, რომ შეუფერხებლად აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთება.

### საგაზაფხულო ხვნაზე მასობრივად გავიდნენ

რაიონის კოლმეურნეობები მასობრივად შეუდგნენ საგაზაფხულო ხვნას. შედგენილია გაზაფხულის სამუშაოთა გეგმა, განსაზღვრულია ყოველდღიური და ხუთდღიური დავალებები.

საგაზაფხულო სამუშაოებს მომზადებული შეხვდა სოფელ არაშენდის სტურუას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. მედულაშვილი). გუთნის დედები ხვნის დღიურ დავალებებს წარმატებით ასრულებენ. სოფელ მახარაძის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობაში მასობრივად გავიდნენ ხვნაზე. წინ მიდიან იორ-მუღანლოს მოლოტოვის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობები. ორგანიზებულად გავიდნენ ხვნაზე კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენას" კოლმეურნეები.

„გლეხის მარჯვენაში" წელს ხვნა-თესვაზე იმუშავებს 21 გუთნეული ამჟამად მინდვრად გასულია 15. გეგმის მიხედვით ერთმა გუთნეულმა დღიურად უნდა მოხნას 0,25 ჰექტარი, ფაქტიურად ხნავს 0,30. მესამე ბრიგადის გუთნისდედა ვ. გურგენაშვილი ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. მეოთხე ბრიგადამ, რომლის ბრიგადირად არის ა. გამარჯვაშვილი, უნდა მოხნას 65 ჰექტარი. 5 დღეში მან უკვე მოხნა 20 და დათესა 5 ჰექტარი. ამ ბრიგადამ ვალდებულება იკისრა თესვა დაამთავროს 15 აპრილამდე. კოლმეურნეობას მზად აქვს კონდიციური თესლი: 5 ტონა სიმინდი, 3 ტონა მზესუმზირა, 2 ტონა შვრია. ასევე მზად აქვს ბაღჩეულისა და ბოსტნეულის თესლიც.

სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ხვნაზე გავიდა 8 გუთნეული. შემოწმდა მუშა პირუტყვის მდგომარეობა, დასუსტებული 10 მუშა პირუტყვი გადაყვანილ იქნა გაძლიერებულ კვებაზე. კიროველებმა პირობა დასდეს თესვა დაამთავრონ 15 აპრილამდე, ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ სიმინდი 17 ცენტნერი, ხორბალი—11, მზესუმზირა—10, ხოლო კარტოფილი—70 ცენტნერი.

კიროველებს ამ დღეებში სტუმრად ეწვია უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელსაც გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. სინელნიკოველებს შეჯიბრება ჰქონდათ კიროველებთან. ისინი გაეცნენ მათს მუშაობას. დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. პ. ბონდარენკო ესაუბრა კოლმეურნეებს, გაეცნო კოლმეურნეობის მუშაობას, გამოთქვა სურვილი წელსაც განაგრძონ შეჯიბრება, რითაც კიდევ უფრო განამტკიცებენ ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა მეგობრობას.

მომზადებული შეხვდა საგაზაფხულო ხვნას სოფელ ჯიმითის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. აქ დროულად გადაიყვანეს გაძლიერებულ კვებაზე მუშა-პირუტყვი და მოუჩინეს ბეჯითი მომვლელები. ამ დღეებში კოლმეურნეობის 18 გუთნეული მასობრივად გავიდა ხვნაზე. გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა და რგოლებს შორის.

ამოცანა ამჟამად ის არის, რომ სისტემატური კონტროლი გავუწიოთ საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობას, ყოველი დღე მაქსიმალურად გამოვიყენოთ ხვნის დასაჩქარებლად, შევქმნათ ყველა პირობა თესვის დამთავრებისათვის სანიმუშო აგროტექნიკურ ვადებში. სწორედ ამის მიხედვით შემოწმდება და შეფასდება როგორც პარტიული, ისე საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების მუშაობა.

### მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი

მინდვრის სამუშაოთა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გასადიდებლად სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლას.

მოსავლიანობის გადიდებაში სერიოზული მნიშვნელობა აქვს კულტურების სწორ განლაგებას თესლბრუნვის მინდვრებში, ხოლო იქ, სადაც თესლბრუნვა არ არის, თვითეული კულტურისათვის საუკეთესო წინამორბედის შერჩევას. რაიონში ძირითადად გატარებულია 8-10 მინდვრიანი თესლბრუნვა. წელს 28 კოლმეურნეობა დაგეგმილია თესლბრუნვისათვის. შემოწმდა მინდვრის საზღვრები და სასაზღვრო ნიშნები. ხდება კულტურების სწორი განაწილება. წელს რაიონში თესლბრუნვა გატარდება თითქმის 80 პროცენტით.

დიდი მუშაობა ჩატარდა კოლმეურნეობებში თესლეულის მოსამზადებლად. რაიონში ძირითადად მზად არის სიმინდის, მზესუმზირას, ხორბლის, შვრიის, კარტოფილის თესლი. თავის დროზე მოიმარაგეს კარგი ხარისხის თესლი სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენამ", კაჭრეთის კიროვის, ჯიმითის ბერიას, ყანდაურის ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

კაჭრეთის მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. გ. ლვინიაშვილი.
ფოტო რ. აკოფოვისა

ყველა ამ სამუშაოს მაღალხარისხოვნად ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული რაიმიწგანის აგროპერსონალზე. პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა სათესლე ნაკვეთების დროულად გამოყოფისა და დაწესებული აგროტექნიკის დაცვისათვის ეკისრებათ რაიმიწგანის მთავარ აგრონომსა და მეთესლე აგრონომს, აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს. კაჭრეთის რაიმიწგანს დღემდე არა ჰყავს მეთესლე-აგრონომი, შრომის ორგანიზატორი და მევენახე-აგრონომი. ცხადია, ეს აფერხებს ნორმალურ მუშაობას. საჭიროა საქართველოს სსრ მიწსახკომი დაეხმაროს რაიონს აგრონომიული კადრებით.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა რაიონული პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელთაგან მოითხოვეს ფართო მასების ყურადღება მიაპყრონ სასუქთა შეგროვების მოწყობას, პლანტაციებსა და მინდვრებში მათ შეტანას და ამით მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უზრუნველყოფას.

ამ მითითების განსახორციელებლად რაიონში სერიოზული მუშაობა ტარდება. შედგენილია ნაკელის გატანის ყოველდღიური, ხუთდღიური და ათდღიური დავალებანი, გამოყოფილია მუშა საქონელი. დაიწყო ნაკელის მასობრივად გატანა მინდვრად. რაიონში ყოველდღიურად ნაკელის გატანაზე მუშაობს 800-მდე მუშა საქონელი. დაწესებული გეგმის მიხედვით სულ გატანილ უნდა იქნას 10 ათასი ტონა ნაკელი. 1 მარტამდე უნდა გატანილიყო—2.000 ტონა. ფაქტიურად 1 მარტისათვის გატანილია 3.800 ტონა. სოფელ არაშენდის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე გაიტანა 410 ტონა ნაკელი, ნაცვლად — 200 ტონისა, მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმმა" გაიტანა 485 ტონა, გეგმა კი 400 ტონას ითვალისწინებდა. სოფელ ჯიმითის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას 1 მარტამდე უნდა გაეტანა 70 ტონა, გაიტანა 200, კაჭრეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ 50 ტონის ნაცვლად გაიტანა 200. კარგად მუშაობენ კაკაბეთის, ცხაკაიას, ყანდაურის „გლეხის მარჯვენას" და ლენინის სახელობის კოლმეურნეობები. ნაკელის გატანის საქმეში წინ მიდიან არაშენდის, მელაანის, ჯიმითის, მახარაძის, ყანდაურის, იორ-მუღანლოს და ლამბალოს სასოფლო საბჭოები. რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს ნაკელის გატანის მთელი დავალება ვადამდე შეასრულონ.

მოსავლიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თაგვთან ბრძოლის ორგანიზებულად მოწყობას. როგორც ცნობილია, შარშან თაგვმა დიდი ზიანი მიაყენა პურეულს. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებში შექმნილი სპეციალური ბრიგადები მუდმივად ეწევიან თაგვთან ბრძოლას. მიმდინარე წელს შეწამლულ იქნა 3.910 ჰექტარი. კარგი შედეგი მოგვცა შეწამვლამ იქ, სადაც თოვლის წინ ჩატარდა ეს სამუშაო. ეს ითქმის იორ-მუღანლოს, ლამბალოს და დუზაგრამის სასოფლო საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებზე, რომელთაც მომსახურებას უწევს აგრონომი იმერლიშვილი.

მიღებულმა ღონისძიებებმა საგრძნობლად შეამცირეს თაგვის სოროების რაოდენობა, მაგრამ ზოგიერთ ნაკვეთში თაგვი ისევ იწყებს გამრავლებას. ამიტომ საჭიროა შეუნელებელი ბრძოლა ვაწარმოოთ თაგვთან, როგორც ქიმიური, ისე მექანიკური წესით. საჭიროა ამ საქმეში ჩავაბათ მოზარდები, მოწაფეები. თაგვთან ბრძოლის საკითხებზე უნდა იმსჯელონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და თავის მხრივ დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი. წელს თაგვმა ვეღარ უნდა დაგვიზიანოს პურეული.

### როგორ მუშაობს კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენა" მეთესლეობის გაუმჯობესებისათვის

კოლმეურნეობამ მეთესლეობის გაუმჯობესება დაიწყო 1939 წლიდან. პირველ ხანებში ამ ახალ წამოწყებას სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია. მაგრამ მალე გაფართოვდა ჯიშების წარმოება და მოხდა სათანადო გაუმჯობესება. კოლმეურნეობა ძირითადად აწარმოებს ორი ჯიშის მიღებას — თეთრი დოლი 35—4 და უფხო.

კოლმეურნეობას წელს სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 80 ტონა თესლი, ჩააბარა 90 ტონა.

შემოდგომაზე სათესლედ დაითესა 35 ჰექტარი. იგი ცალკე ნაკვეთებად განაწილებულია მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ბრიგადებში. ეს ნაკვეთები ბრიგადებს ჩაბარებული აქვთ სათანადო აქტებით.

კარგი ხარისხის თესლის მისაღებად ტარდება შემოდგომის ნათესების აგროტექნიკურ ვადებში დამუშავება, გაზაფხულზე კი — ფარცხვა, რომელიც ხელს უწყობს ქერქის მოსპობას და ხელს უშლის სარევლების მომრავლებას. სათესლე ნაკვეთებში ტარდება მოლიანი მარგვლა. თაგვთან ბრძოლისა და სინესტის დაგროვების მიზნით ნათესებს რწყავენ. აწარმოებენ ჯიშობრივ მარგვლას. წელს განზრახულია დამატებითი კვებისათვის სათესლე ნაკვეთებში შეტანილ იქნას ნაკელი თითოეულ ჰექტარზე 10-15 ტონის რაოდენობით.

მარცვლეული კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების განსახორციელებლად კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენაში" სათესლე ნაკვეთებს მაღალხარისხოვნად ამუშავებენ, აგროწესებს სანიმუშოდ იცავენ, მოსავალს იღებენ ცალკე ჯიშების მიხედვით. „გლეხის მარჯვენას" ყველა შესაძლებლობა აქვს გახდეს მეთესლეობის სანიმუშო კოლმეურნეობა.

* * *

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ კოლმეურნეობებში საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენას. ბევრგან ეს სამუშაო კარგად მიმდინარეობს. კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენაში" აზუსტებენ ყველა სახის მასალებს, რომლებიც საჭიროა საწარმოო-საფინანსო გეგმის შესადგენად, ითვალისწინებენ კოლმეურნეობის შესაძლებლობას მიმდინარე წელს და სახავენ ღონისძიებებს მოსავლიანობის გასადიდებლად. ასევე კარგად მუშაობს საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენისათვის ყანდაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა უნდა დამთავრდეს 1 აპრილამდე. ამიტომ საჭიროა რაიონის ყველა კოლმეურნეობა ახლავე შეუდგეს მათ შედგენას.

დადგა გაზაფხულის დღეები. კოლმეურნეები მინდვრად გავიდნენ. გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. მაგრამ აღებული ტემპები კიდევ არ კმარა იმისათვის, რომ აგროტექნიკურ ვადებში დავამთავროთ ყველა ის სამუშაო, რაც შესასრულებელია გაზაფხულზე. საჭიროა კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, მოვაწესრიგოთ ბრიგადებსა და რგოლებში შრომა, ჩავაბათ ისინი ერთმანეთთან შეჯიბრებაში, ზუსტად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი. ამით მივაღწევთ სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას, მოვიყვანთ გამარჯვების უხვ მოსავალს.

ამჟამად სოფლად არ არსებობს სხვა უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარება. თუ დროზე და მაღალხარისხოვნად დავთესავთ, კარგ მოსავალსაც მოვიყვანთ. ამას მოითხოვს ფრონტისა და ჩვენი ქვეყნის ინტერესები. ეს არის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, მტს-ის ხელმძღვანელთა სახელისა და ღირსების საქმე.

ნ. ჯანჯღავა

## ძირეული პრესის მუშაკთა რაიონული შეკრება

კასპი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ჩატარდა ძირეული პრესის მუშაკთა, მუშსოფლკორთა და რაიონული გაზეთის „კომუნიზმისაკენ" საკუთარ კორესპონდენტთა რაიონული შეკრება.

საგაზაფხულო თესვის კამპანიაში ძირეული პრესის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის წარმომადგენელმა ამხ. პ. გუნიავამ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ს. გიორგაძემ (ოკამის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე), ი. შალუტაშვილმა (კასპის კოლმეურნეობიდან), პ. კუპრაშვილმა (კასპის მტს-ი), მ. ზაალიშვილმა (რგვალიჭალის კოლმეურნეობიდან), მ. კონიაშვილმა (ქვემოჭალის კოლმეურნეობიდან), ტ. მეცხვარიშვილმა, ვ. ბუზალაძემ (რაიონული გაზეთის რედაქტორი) და სხვ.

აღინიშნა, რომ მთელმა რიგმა კედლის გაზეთებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა. გაზეთები გამოდიან სისტემატურად, აშუქებენ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადების მიმდინარეობისა და საკოლმეურნეო ცხოვრების მთელ რიგ სხვა აქტუალურ საკითხებს. სოფელ რგვალიჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 1944 წელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების დარგში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. კედლის გაზეთმა ამ კოლ[illegible] მნიშვნელოვანი როლი [illegible] ქვეყნდება მოწ[illegible] მათი მუშაობის გამოცდილების შესახებ. გაზეთი მიუთითებს კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და უჩვენებს მათი გამოსწორების გზებს. ლამაზადაა გაფორმებული გაზეთი სურათებით და კარიკატურებით. კარგად მუშაობენ აგრეთვე სოფელ ქვემოგომის, ქვემოხანდაკის, კასპის კოლმეურნეობებთან და მტს-თან არსებული კედლის გაზეთები.

მაგრამ ზოგიერთი კედლის გაზეთი ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს. მაგალითად, წითელქალაქის, ნიგოზისა და ლამისყანის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობების კედლის გაზეთები იშვიათად გამოდიან, მათში არ შუქდება აქტუალური საკითხები. გაზეთის გარშემო შემოკრებილი არ არის სოფლკორთა აქტივი, ყურადღება არ ექცევა გამოქვეყნებული მამხილებელი წერილების შედეგიანობას, გაფორმება სუსტია და სხვ.

შეკრების მონაწილეებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ პერიოდულად მოეწყოს ძირეული პრესის მუშაკთა თათბირები, რაც დიდად დაეხმარება კედლის გაზეთებს მუშაობის გაუმჯობესებაში.

ძირეული პრესის მუშაკთა შეკრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ქველაძემ.

## თბილისის რკინიგზის ფოსტას გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა

თებერვალში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის თბილისის რკინიგზის ფოსტის მუშაკთა კოლექტივს (უფროსი ამხ. ა. ორჯონიკიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. ნ. პატარიძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. სალიბეკოვი) მიეკუთვნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. დროშის გადაცემასთან დაკავშირებით 19 მარტს შესდგა თბილისის რკინიგზის ფოსტის მუშაკთა მიტინგი.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში ამხ. ი. მონიავამ საზეიმო ვითარებაში გარდამავალი წითელი დროშა გადასცა თბილისის რკინიგზის ფოსტის უფროსს ამხ. ა. ორჯონიკიძეს.

მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა ამხ. ა. ორჯონიკიძემ, გ. სალიბეკოვმა, ანანიაშვილმა, გოჩელიშვილმა და სხვ., პირობა დასდეს კიდევ უკეთ იმუშაონ, რათა შეინარჩუნონ დროშა და საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ.

## გამოფენა

საქართველოს თეატრალურ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელიც ასახავს საქართველოს სათეატრო ხელოვნების მიღწევებს სამამულო ომის ოთხი წლის მანძილზე. ეს გამოფენა ნათლად გვიჩვენებს იმ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას, რომელიც ომის დღეებში საქართველოს თეატრალურმა კოლექტივებმა და თეატრალურმა მუშაკებმა ჩაატარეს.

მარტო თბილისის თეატრებმა ომის პერიოდში აჩვენეს 13.000 სპექტაკლი და 4,5 მილიონ მაყურებელს მოემსახურნენ.

გამოფენაზე წარმოდგენილია თბილისის თითქმის ყველა თეატრი, ყველა რაიონული თეატრალური კოლექტივი. ცალკეული თეატრების მუშაობას გვიჩვენებს რეპერტუარი, ომის პერიოდის დადგმების ფოტო სურათები, ცალკეული მხატვრული ესკიზები, თეატრის მოწინავე ადამიანთა პორტრეტები, რეცენზიები სპექტაკლებზე.

გამოფენას მრავალი განყოფილება აქვს. საინტერესოა თეატრების სამხედრო-საშეფო მუშაობის განყოფილება. სამამულო ომის პერიოდში საქართველოს თეატრალურმა მუშაკებმა 24 ათასზე მეტი საშეფო სპექტაკლი და კონცერტი გამართეს, მათ შორის 2.000-მდე ფრონტებზე. გამოფენაზე წარმოდგენილია მასალები საფრონტო და საშეფო ბრიგადების მუშაობის შესახებ. გამოფენის სხვა განყოფილებები გვიჩვენებენ ქართველი მუსიკოსების მიღწევებს ომის პერიოდში. ნაჩვენებია ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები — სიმღერები, მარშები და სხვ., რომლებიც დაბეჭდილი იყო საფრონტო გაზეთებში. წარმოდგენილია აგრეთვე მასალები სამამულო ომის პერიოდის ქართული დრამატურგიის შესახებ.

გამოფენა კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი დიდი სიყვარულითა და გემოვნებით არის გაკეთებული. მუზეუმის თანამშრომლებს მნიშვნელოვანი მუშაობა გაუწევიათ.

## „ჰიმნი ორმუზდს"

დაიბეჭდა და უახლოეს დროში გასასყიდად გამოვა რესპუბლიკის სახალხო არტისტის კომპოზიტორ დ. არაყიშვილის პარტიტურა „ჰიმნი ორმუზდს", დაწერილი სიმფონიური ორკესტრის დიდი შემადგენლობისათვის.

„ჰიმნი ორმუზდს" ღირსშესანიშნავი დოკუმენტია ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში. „ჰიმნი" პირველად შესრულებულ იქნა პავლოვსკში 1913 წელს, სადაც იგი მიდიოდა სახელწოდებით „საზანდართა შორის". იმავე წელს ჰიმნი მოსმენილ იქნა თბილისში ქართული ვოკალური და სიმფონიური მუსიკის საღამოზე, რომელიც შედგენილი იყო დ. არაყიშვილის ნაწარმოებებისაგან. 1914 წლიდან იგი სრულდება როგორც „ჰიმნი ორმუზდს" და მას შემდეგ ამ სახელწოდებით შედის სიმფონიურ კონცერტთა ყველა პროგრამაში.

„ჰიმნი" წარმატებით სრულდებოდა მოსკოვში, ხარკოვსა და ბაქოში. (საქინფორმი).

## ლექცია

22 მარტს, საღამოს 8 საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება დოცენტ ი. ბაჯაძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „კარლ მარქსი მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი".

## თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 21/III — „დონ-კიხოტი", 22/III — „ქეთო და კოტე". რუსთაველის სახელობის — 21/III — „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება", 22/III — „ხევისბერი გოჩა". მარჯანიშვილის სახელობის—21/III—„ქამთაბერის ასული", 22/III—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". მუსიკალური კომედიის—21/III—„მზის დაბნელება", 22/III — „მსახიობის სიყვარული". სანკულტურის — 22/III — „რაისა ტარასოვა". მოზარდ მაყურებელთა ქართული — 21/III—„ნაცარქექია", 22/III—„ფარავნელი ჭაბუკი".

## კინოებში

21 მარტს: რუსთაველის სახელობის — „პროფესორი მამლოკი". ოქტომბერი — „აქტრისა". დამკვრელი — „მოსკოვის ცა". კომკავშირელი — „მასკარადი". სპარტაკი — „ჯორჯი დინკი ჯაზიდან". ლუქსემბურგის სახელობის — „იუდუშკა გოლოვლიოვი". 26 კომისრის სახელობის — „მუსიკალური ისტორია".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 30 მარტს, დღის 2 საათზე, აკადემიის სხდომის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შესდგება რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზეც ლევან ნიკიფორეს-ძე ასათიანი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ცხოვრება აკაკი წერეთლისა".

ოფიციალური ოპონენტები ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. გ. ბარამიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გ. ნ. აბზიანიძე.

დისერტაცია დაბეჭდილია 1940 წ. გამომცემლობა „ფედერაციის" მიერ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი კ. კეკელიძე

მოქალაქე ალექსი პეტრეს-ძე ლაფერაშვილმა, მცხოვრებმა ყორღის ქ. № 38, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ვალენტინა ივანეს-ასულ ლაფერაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

სოფიო ურგებაძე იუწყება ამოხრილი მამიდის ტასო ნიკოლოზის-ასულ ურგებაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/III, 7 ს. გამოსვენება 22/III 5 ს. მახარაძის, 13.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის დირექცია და მასწავლებელთა კოლექტივი იუწყება ქეთევან ვასილის ასულ ყორყოლიანის გარდაცვალებას.

მშობლები პეპუცა, დიანოზ ხაინდრავები, და ლენა, სიძე გრიშა ბრეგაძე იუწყებიან გუგული ხაინდრავას გარდაცვალებას.

მეუღლე ეკატერინე, შვილები შალვა, თამარ, რძალი ნინო, შვილიშვილები ნოდარ, ელგუჯა, ძმისწულები ეკატერინე, სპარტაკ, ნინოცა იუწყებიან ნიკოლოზ გიორგის-ძე თაქთაქიშვილის გარდაცვალებას.

დები მანანა, ელო ოჯახით იუწყებიან საშა მათიაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 22/III, 5½ ს. კოჩუბეის, 12. პანაშვიდი 21/III, 7 ს.

მეუღლე პრასკოვია, დები ლუბა, გოგოცა, ცაცა, ძმა ნიკოლოზ, სიძე ცაგუ, დისწულები მიშა, შურა, რძალი ნადია ცომაია იუწყებიან ალექსანდრე თვარაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 21/III, 4 ს. წოლკანის, 12.

მეუღლე ვალია, შვილები ელგუჯა, ძმები აკაკი, კალე, რძლები ვალერია, მარო, დები ნატა, მარგარიტა, კლავდია იუწყებიან მიშა თოფურიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 24/III, 6 ს. გამოსვენება 25/III, 3 ს. კავთისხევის, 10.

მეუღლე დაფია, შვილები ქეთო, შოთა, გოგი, ძმა ალფეზ იუწყებიან ასლან ქაიხოსროს-ძე ლანდიას გარდაცვალებას.

ანდრო წიკლაური მეუღლით ნინოთი, შვილებით ილიათი, გიორგით და ვახტანგით იუწყება სიძის იაკ გიორგის-ძე რუსიშვილის გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტები იუწყებიან სერგო ჯორბენაძის დის ფაციას გარდაცვალებას.

თბილისის ქალთა მე-ორე საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება მასწავლებელ ანა ჯერსამიას მამის თადეოზ ქვარცხავას გარდაცვალებას.

დაკარგულია ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სამმართველოს № 287 სახლთმმართველობის სამკუთხედი ბეჭედი. ჩ. გ.


ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 00263